აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 31

11 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ირაკლი გვარამია, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციაულური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, წარადგინა დღის წესრიგის პროექტი და კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილ დღის წესრიგის დამტკიცებამდე მასში ცვლილების შეტანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგს უნდა დამატებოდა ერთი საკითხი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეხება 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისას საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

(თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე)

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მალხაზ გვიანიძის განცხადება. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსულია №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მალხაზ გვიანიძის განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვს №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია დააკმაყოფილოს №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის განცხადება და შეუწყვიტოს

მას №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება.

აზრი გამოთქვეს: №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით კომისიის წევრების შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს მალხაზ გვიანიძეს საკუთარი განცხადების საფუძველზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი და 2008 წლის 16 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის გამოყენებული იქნება უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 3

ნოემბრის არჩევნებისათვის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ (მიღებული) დამტკიცებული არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახე (ფორმები). ასევე აღნიშნა, რომ უსკოს მიერ (მიღებულ) დამტკიცებულ საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებში არ არის მითითებული არჩევნების თარიღი და არ საჭიროებს მასში ცვლილებების შეტანას. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა ირაკლი გვარამიამ.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის 13-ე პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის გამოყენებული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის №33, 08 სექტემბრის №39 და №41, 11 სექტემბრის №50 და №51, 14 სექტემბრის №53 და №54, 17 სექტემბრის №57, 23 სექტემბრის №58, №60 და №61, 25 სექტემბრის №63, 01 ოქტომბრის №65 და №66, 07 ოქტომბრის №70, 11 ოქტომბრის №79 და 21 ოქტომბრის №86 განკარგულებებით დამტკიცებული საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით უსკო-ს მიერ აუცილებელია შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა, რომლებიც მონიტორინგს ახორციელებდნენ 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლეს საბჭოს არჩევნებზე, თანხმობა გამოთქვეს 2008 წლის 14 დეკემბრის უმაღლეს საბჭოს ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებზეც განახორციელონ საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანგარიშების მონიტორინგი. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფი იხელმძღვანელებს უსკო-ს მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლეს საბჭოს არჩევნებისათვის დამტკიცებული დებულებით და კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგს ახორციელებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №40 განკარგულებით შექმნილი ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №49 განკარგულებით დამტკიცებული დებულებით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია